პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 9 თებერვალი № 33 (17678) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საძმეო გამოარჩინა

ამუშავდა თეთრი წყაროს სანაშენე მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი, რომელიც გათვალისწინებულია სახორცე მიმართულების 80 ათასი სანაშენე მოქცეულის გამოსაზრდელად. უკვე წელს უნდა აწარმოონ 2,200 ათასი კვერცხი და 800 ცენტნერი ფრაცი.

კვითილსნდისიერი მუშაკის სახელი მოიხვეჭა სანაშენის ამუშავების პირველი დღეებიდანვე მეფრინველე ლალი გოგიჩაიშვილმა, რომელიც წიწილებს ზრდის. მან წელს ვალდებულება იკისრა წიწილების შენარჩუნება ნორმით გათვალისწინებული 90 პროცენტის ნაცვლად 98,1 პროცენტამდე გაზარდოს. ლალი ვარაუდობს ერთ კილოგრამ წონამატებაზე დახარჯოს 5,5 საკვები ერთეული — გიგმაზე 2,1 ერთეულით ნაკლები.

სურათზე: თეთრი წყაროს სანაშენე მეფრინველეობის ფაბრიკის მეფრინველე ლალი გოგიჩაიშვილი.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკვების ხარჯვას — მკაცრი კონტროლი!

ესპუბლიკის მეცხოველეებმა შარშან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის მიერ დასახული მაღალი მიჯნების მისაღწევად და ამ ალმავლობის გზიდან არც ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის დასაწყისში გადაუხვევიათ.

ამას ნათლად ადასტურებს ის, რომ იანვარში ძირითად სახეობათა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში შარშანდელზე უკეთესი მაჩვენებლებია მოპოვებული, სახელმწიფოს მიეყიდა 9.567 ტონა ხორცი, 14.849 ტონა რძე და 31.242 ათასი ცალი კვერცხი.

ეს მტკიცე, საიმედო სტარტი იმის შედეგია, რომ ფერმის მუშაკები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გაზრდის სულადობის გადიდებისა და საკვები რესურსების მომზირნე და ყაირათიანი გამოყენებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქმით უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციისა და ყველა მშრომელისადმი.

ლენინური წლის ახე დამკვრელური გარჯით დაწყება იმის საწინდარია, რომ ჩვენი ფერმის მუშაკები გამოზამთრებას წარმატებით დაამთავრებენ, კარგ საფუძველს ჩაუყრიან დარგის შემდგომ განვითარებას და უთუოდ შეასრულებენ ხუთწლედის დავალებებს. თუმცა, ასეთი ოპტიმისტური გაწყობილების საფუძველს ყველა მეცხოველის მეცადინეობა როდი გვაძლევს. საქმეს ისიც აერთულებს, რომ შარშანდელი გვალვების გამო წლეულს ყველგან ვერ შექმნეს საკვების საჭირო მარაგი, ბევრგან ვერ შესრულდა მარცვლეულის წარმოების, თივის, სილოსის, ბალახის ფხვნილისა და სხვა უხეში საკვების დამზადების გეგმები.

სწორედ ახლა მოეთხოვებათ ფერმის მუშაკებს ძალ-ღონის სრული დაძაბვა, ყველა რეზერვის ამოქმედება, რათა არ შემცირდეს პირუტყვის პროდუქტიულობა. ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ საკვების ყაირათიანი ხარჯვისათვის, მისი შენახვის, გადაზიდვის და დარიგების დროს დანაკარგების ლიკვიდაციისათვის, იმისათვის, რომ პირუტყვს თითოეული კილოგრამი საკვები წინასწარ შემზადებული ეძლეოდეს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერებისა და პრაქტიკის

ფერმა

ფერმერ

ბოლ

ბ

ბ

ბ

ახალი მიღწევების გზით

ამომრჩევლების შეხვედრა

ზ. ა. ჩხეიძესთან

1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღე

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ამაღლებელ დემონსტრაციად გადაიქცა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების ქალაქ გორის № 116 ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა თავიანთი დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძესთან.

საარჩევნო კრების გახსნისას საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ზ. მაყაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საარჩევნო კომპანია ქალაქში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს და დამაჯერებლად მოწმობს სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებას. გორის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს, ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შჯობრებაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებების უთუო შესრულებისათვის.

კრების მონაწილეებმა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ტრიბუნაზეა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი — გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიბიროს მდივანი გ. ვ. ხაჩიძე. მან დამსწრეთ გააცნო ზ. ა. ჩხეიძის ბიოგრაფია, მოუთხრო მისი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის, სამეურნეო მშენებლობის ამოცანათა თანამიმდევრული გადაწყვეტის საქმეში მისი ადგილის შესახებ. ორატორმა ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს, 24 თებერვალს რომელოლაც მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანი ბლოკის ღირსეულ წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი რ. ა. ბალოკაძეთმა, ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშა ლ. ა. გაზაშვილი, „გორვაჭრობის“ პარტბიუროს მდივანი ვ. ვ. ჩიხრაძე, № 9 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ს. აბუაშვილი, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი შ. ი. ჭურდაძე, რომლებმაც საქმიანად, დაინტერესებით ილაპარაკეს ქალაქ გორის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე, აღნიშნეს არჩევნებიდან არჩევნებამდე ქალაქის მშრომელთა მიერ ცხოვრების ყველა სფეროში მიღწეული წარმატებები. მათ დამსწრეთ გააცნეს მომავლის გეგმები, ქალაქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდი და პასუხსაგები ამოცანები.

სიტყვა ეძლევა დეპუტატობის კანდიდატს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ზ. ა. ჩხეიძეს.

ამხ. ჩხეიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა გორის № 116 ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველს დიდი ნდობისათვის, რომელიც მას გაუწიეს, როცა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ეს პატივი და ნდობა, თქვა მან, მთლიანად ეკუთვნის ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. მე მიმაჩნია, რომ ამ ნდობაში ჩანს ერთგულება საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი პოლიტიკური კურსისა, რომელმაც თავიდანვე პოვა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მხურვალე მხარდაჭერა.

ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო კამპანიები ყოველთვის საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ნამდვილი ერთიანობის სულისკვეთებით მიმდინარეობს. არჩევნები ყოველთვის ხალხისა და პარტიის მონოლითური შეკავშირების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო, არის და იქნება, იგი ყოველთვის საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადების პერიოდში. ამ ღირსსახსოვარი თარიღის შესახვედრად მილიონობით საბჭოთა ადამიანი ჩაება საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში და თავდადებით იბრძვის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ვადამდე შესასრულებლად.

ლენინი დღესაც ჩვენთან არის, ჩვენი დიდი და ბრძენი მასწავლებელია, ხოლო ლენინიზმი რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების წყარო, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის უშეალო სახელმძღვანელია.

ლენინური კურსი იყო, არის და იქნება მშობლიური კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი საბრძოლო შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოქმედების უტყუარი ორიენტირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ხელმძღვანელობის მიერ ლენინური კურსის განხორციელებაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩვენი დროის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ლენინის საქმის დიადი განმგრძობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის როლი, რომლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მიღწევები როგორც ეკონომიკის აღმავლობის, ისე ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი გულმოდგინებით და შემოქმედებითად ახორციელებენ მშვიდობიან კურსს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა პატიოსანი შრომელი. იმპერიალისტები კი — მშვიდობის, სოციალიზმის და განაარაღების მტრები— ყველა ცდილობენ ცივი ომის მორეგვში ჩაითრიონ მსოფლიო.

ასეთ პირობებში მსოფლიო საზოგადოებრიობა იმედით აღიქვამს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დადასტურებულ საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილებას ყველაგვარ გაუბაროს შვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკა, განაგრძოს უკანასკნელ წლებში დაწყებული დიალოგი და გამოეტანოს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ამ პოლიტიკის მხარს უჭერს ჩვენი ხალხი და არ არსებობს ძალა, რომელიც მას დასახული კურსიდან გადაახვევინებს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მონოლითურად, პარტიის გარშემო მტკიცედ შეკავშირებული ახალი შრომითი აღმავლობით ეგებებიან არჩევნებს.

ჩვენმა ხალხმა შემდგომი მუშაობის სახელმძღვანელოდ ახალი პროგრამა მიიღო — ეს არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის მასალები. პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მაღალი შეფასება მიეცა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ სამეცანობას ხუთწლედის განვლილ პერიოდში. ეს ოთხი წელიწადი დიდი წინსვლის წლები იყო. წარმატებით წყდებოდა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას, თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას ითვალისწინებს.

საბჭოთა ხალხის მიერ ხუთწლედის ოთხ წელიწადში მოპოვებულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი ახალი ენთუზიაზმით, შემართებით იბრძვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სრულყოფს და მიზანსწრაფულს ხდის თავის მუშაობას იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის შესახებ მიიღო და სახელმძღვანელოდ მოგვცა.

რესპუბლიკის კომუნისტთა ავანგარდული როლის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებამ განვლილ პერიოდში საშუალება მოგვცა კიდევ უფრო გაგრძელირებინა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი, გაგრძელებულებინა ხარისხობრივი მაჩვენებლები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

დღითი დღე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ კურსის ცხოველმყოფელობა, ამბობს ამხ. ჩხეიძე, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი ბიურო ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-მორალური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლინებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. ამ კურსს სასიკეთო შედეგებმა გაზარდა საქართველოს ავტორიტეტი მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით და დიდი აღიარება მოუტანა ჩვენს საქმიანობას.

შემდეგ დეპუტატობის კანდიდატი დაწვრილებით შეეხო მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში და, კერძოდ, 1979 წელს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებს.

ჩვენი რესპუბლიკის დიდ მიღწევებში ღირსეული წვლილი მიუძღვით ქალაქ გორის მშრომელებსაც. არჩევნებიდან არჩევნებამდე გაბვლილ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა გორის პარტიული ორგანიზაცია, მან შეიძინა პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება.

საერთო წარმატებები, რომლებიც ამ პერიოდში ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით მოიპოვა, იმის შედეგია, რომ თანამიმდევრული, ბეჯითი მუშაობა მიმდინარეობდა სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებების შესასრულებლად.

მუშაობის მთავარი მიმართულება იყო კომუნისტთა ავანგარდული როლის, პარტორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, შრომითი კოლექტივების მოღვაწეობაზე მათი გავლენის გაძლიერება, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ყველა უბანზე პასუხისმგებლობის ამაღლება და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება.

ამხ. ჩხეიძემ შემდეგ ილაპარაკა ქალაქ გორის ეკონომიკის განვითარებაზე და თქვა, რომ ქალაქში არის საწარმოები, რომლებიც, მართალია, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის გეგმებს ასრულებენ, მაგრამ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დავალებებს კი ვერა.

ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მოვალეობაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და მიაღწიონ სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას ყველა დარგში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველაზე დიდ ყურადღებას დაუთმობს უჩამორჩენილობიდან შეჯიბრების გაფართოებას და მის სწორ ორგანიზაციას. საჭიროა, რომ შეჯიბრება დევიზით „ვიმუშაოთ უჩამორჩენლობიდან“ მორიგ კამპანიად კი არ დარჩეს, არამედ მუდმივ, თანამიმდევრულ, ქმედით და ეფექტიან ღონისძიებად იქცეს თითოეული კოლექტივისათვის.

შემდეგ ამხ. ჩხეიძე ყურადღებას ამახვილებს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების სერიოზულ ნაკლოვანებებს, ამბობს, რომ ამ დარგების განვითარების სრულყოფისათვის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმიანობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. განხორციელებული ღონისძიებები ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ და არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის, ამ მუშაობაში უნდა ჩაერთვათ ფართო საზოგადოებრივი აქტივი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებზე პრინციპულად იმსჯელა ახლახან გამართულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა კოლექტივმა განუხრელ სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს კრების გადაწყვეტილებები, რეზოლუციაში მოცემული დებულებები და დასკვნები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოოდ გაჯანსაღების გარანტიად მივიჩნიეთ.

სკკპ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაობის გარდაქმნას. განსაკუთრებული - სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის დიდი ძვრები, რომლებიც ჯორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის საქმიანობაში იგრძნობა. აღმოიფხვრა ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებიც აქ მისაღები გამოცდების დროს ჰქონდათ და რომლებზეც პრინციპულად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ახლა ინსტიტუტში გამოცდები ორგანიზებულად, მაღალი პასუხისმგებლობით, მომთხოვნელობისა და ობიექტურობის ვითარებაში მიმდინარეობს.

ყოველივე ეს ინსტიტუტში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლისა და პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ზნეობრივი კლიმატის — გაჯანსაღების შედეგია. აქ განმტკიცდა შრომის და სასწავლო დისციპლინა, სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა აღზრდის პროცესს.

ინსტიტუტში სერიოზული ყურადღება ექცევა სტუდენტთა შრომითს და ფიზიკურ აღზრდას. აქ ყოველთვის განსაკუთრებით მაღალ დონეზე მიმდინარეობს მესამე შრომითი სემესტრი. მტკიცდება ინსტიტუტის მდიდარი სპორტული ტრადიციები.

ამომრჩეველთან დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრა საბჭოთა საარჩევნო სისტემის კარგი და საყურადღებო ტრადიციაა. იგი მუდამ ზეიმია, მოპოვებულ მიღწევათა შეჯამებაა, მაგრამ რაოდენ საზეიმოც უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ, რაც უფრო დიდია ჩვენი წარმატებანი, მით უფრო თვითკრიტიკულად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს. მხოლოდ მიღწეული შედეგების საფუძველიანი და ყოველმხრივი გაანალიზება, განზოგადება და კრიტიკული გაზრება დაგვეხმარება გამოვავლინოთ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს შემდგომ წინსვლას.

1980 წელს რესპუბლიკის წინაშე გაკეთებით უფრო რთული ამოცანები დგას. ისინი მკაფიოდ განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმებმა, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელმაც მიიღო საქართველოს სსრ მშრომელთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. 1980 წელი — ეს არის არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, არამედ ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება. ეს არის პარტიის XXVI ყრილობისთვის აქტიური მზადების წელი. სწორედ ამ პოზიციებით უნდა მივუდგეთ გაწეული მუშაობის შეფასებას და 1980 წლის ამოცანებს.

ამოცანები კი, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის წინაშეა დასახული მიმდინარე წელს, ძალიან სერიოზულია. დასაძლევია ყველაზე დიდი სიძნელენი, მოგვიელის ყველაზე სერიოზული და ყველაზე პასუხსაგები გამოცდა, როგორიც კი ჰქონდა ჩვენს სახალხო მეურნეობას მისი განვითარების მრავალი წლის მანძილზე. უნდა მიეაღწიოთ მრეწველობის პროდუქციის ბასოლუტურ მატებას — 690 მილიონ მანეთამდე. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მივაღწიოთ მეათე ხუთწლედისათვის დასახულ სამრეწველო წარმოების 41 პროცენტით ზრდას. უნდა ვაწარმოოთ 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ უნდა გავაორკეცოთ უკვე გამოვლენილი წარმოების ზრდის რეზერვები თითქმის ყველა რეგიონში და ყველა დარგში.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მნიშვნელოვნად გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება. დიდი ამოცანები დგას რესპუბლიკის მშენებელთა წინაშეც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ შეიცავს ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის სრულყოფის, წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარებისა და შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლების კომპლექსურ პროგრამას. საჭიროა სწორად შეგვფასოთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა და ფართოდ შევისწავლოთ და განვახორციელოთ იგი. ეს როგორც რესპუბლიკის, ისე გორის სამრეწველო საწარმოთა ყველა ხელმძღვანელის, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, თითოეული მშრომელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ორატორი შემდეგ შეეხო იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის სრულყოფის საკითხებს.

1980 წელი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების წელია. თითოეულმა კომუნისტმა, კომკავშირელმა, მშრომელმა ამთავითვე უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო მზადებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მიღწეული წარმატებები ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩვენი მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა მოძმე რესპუბლიკების ხალხებისა და უპირველესად, დიდი რუსი ხალხის დაუხმარებლად. სწორედ მრავალროვანი საბჭოთა ხალხის მეგობრობა და ძმობაა ჩვენი ყველა წარმატების, წინსვლის საწინდარი. ყოველდღიურ მუშაობაში ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით ჩვენი კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეუნელებელ ზრუნვას.

ეს აღფრთოვანებს და უკეთესი მუშაობის სტიმულს მატებს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს. საქართველოს მშრომელები გულითად მადლობას უძღვნიან ჩვენს პარტიას და მთავრობას ამ ყურადღებისათვის.

დასასრულ ამხ. ჩხეიძემ ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის და აღუთქვა, რომ მთელ ძალღონეს, ენერგიასა და გამოცდილებას მოახმარს საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის დიად საქმეს, გაამართლებს მათ ნდობას (საქინფორმი).

მკვლევრებისა
საკავშირო
ასოციაციის
ბიულეტენი

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ფილარმონიის ფილიალი

ტუნისის ამბები

ბეირუთი, 8 თებერვალი. აქ მოდის ცნობები, რომ ტუნისში უკანასკნელ ხანს დაძაბული ვითარებაა. მდგომარეობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც 26-27 იანვარს შეიარაღებული შეტაკებანი მოხდა სამთამადნო მრეწველობის ცენტრში — ქალაქ ბაფსაში, რომელიც ქვეყნის სამხრეთში მდებარეობს. მოღლვარება, ამის შემდეგ რომ მოედო ტუნისის ზოგიერთ სხვა რაიონს, წერს ლონდონის გაზეთი „ალ-ლიბა“, იმ მასობრივი ანტისამთავრობო გამოსვლების განგრძობა და განვითარებაა, რომლებიც 1978 წლის იანვარში მოეწყო ქვეყანაში ტუნისის პროფკავშირების ხელმძღვანელობით. გამოსვლების მიზეზი, დასძენს გაზეთი, ის იყო, რომ ხალხის ფართო მასები აღიარებდნენ მთავრობის პოლიტიკას.

ის იყო, ხაფსის ამბები დამთავრდა, რომ ტუნისის ტერიტორიულ წყლებში გაიგზავნა საფრანგეთის სამხედრო ხომალდები — ავიამზიდი „კლემანსო“, სარაკეტო კრეისერი „ალბერი“, ფრეგატი „დიუგე-ტრუენი“ და საესკადრო ნაღმოსანი „ვანდეენი“, რომელებზეც საზღვაო ქვეითი ჯარის ქვანაყოფები იყვნენ. ფრანგული პრესის ცნობების თანახმად, ამ ხომალდებთან ერთად ტუნისის ნავსადგურებში გაიგზავნა ავრეთვე ოთხი წყალქვეშა ნავი, ხოლო ბიზერტის ნავსადგურში პარაშუტისტთა რაზმები ჩაიყვანეს. ამავე დროს უშუალოდ ხაფსის სამხედრო-საჰაერო ბაზაში გაგზავნეს „ტრანსალის“ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და საბრძოლო ვერტმფრინავები „ტომა“. საფრანგეთის საბრძოლო ხომალდების შემდეგ ტუნისის ლა გულეტის ნავსადგურში ჩამოდგა ორი საეს,ადრო ნაღმოსანი და ერთი რაკეტმზიდი, რომლებიც ამერიკის მე-6 ფლოტის შემადგენლობაში არიან.

ალჟირი, 8 თებერვალი. აქ გამოქვეყნდა ტუნისის ეროვნული ოპოზიციური მოძრაობის მიმართვა. იგი ტუნისელ ხალხს, პროგრესულ და დემოკრატიულ ოპოზიციის და ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს მოუწოდებს შეაკავშირონ თავიანთი რიგები, გამოიყენონ ყველა საშუალება, ზათ შორის იარაღი, და გაიელაშქრონ ტუნისში. საფრანგეთის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, ხაზგასმულია მიმართვაში, ისევე როგორც ამერიკის მე-6 ფლოტის ჩარევა ტუნისში, ხელყოფს ტუნისელი ხალხის სუვერენიტეტს და ღირსებას და ძირს უთხრის მის რევოლუციურ სიმტკიცეს.

ტრიპოლი, 8 თებერვალი. ლიბიის ოფიციალურმა ხელისუფლებამ უარყვეს ტუნისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ბრალდებები ლიბიის მიმართ, თითქოს იგი ტუნისის ამბებში იყოს გარეული, და მკვეთრი სიტყვიერ რეაქცია გამოიწვიეს ქვეყანაში. ლიბიის დიდ ქალაქებში გაიმართა მასობრივი ანტიფრანგული დემონსტრაციები. ტრიპოლში დემონსტრანტებმა ხელში ჩაიგდეს და ცეცხლი წაუკიდეს საფრანგეთის საელჩოს.

ლიბიის მთავრობამ არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას სთხოვა მოიწვიონ საგანგებო სესია, რათა განიხილონ საფრანგეთის სამხედრო ინტერვენცია ტუნისში. როგორც ლიბიის ჯანას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლიბიამ მიმართა აგრეთვე მთელ რიგ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და სთხოვა სასწრაფოდ განიხილონ ეს საკითხი.

ეროვნული ინფორმაციის

ანკარა, 8 თებერვალი. 49 ტერორისტი დაუპატიმრეს თურქეთის უშიშროების ძალებმა მასიერებლი ოპერაციის შედეგად. რომელიც ერთდროულად ქვეყნის იქეს პროვინციაში განხორციელდა. ამის იუწყება ადგილობრივი გაზეთი „თერკუმანი“. გაზეთის სიტყვით, დაპატიმრებულ ექტერებმა ბრალად ედებათ მრავალი მკვლელობა, საზოგადოებრივ ადგილებში ბომბების აფეთქება და სხვა ტერორისტული აქტები.

ამერიკა-პაკისტანის ოლაპარაკება

ისლამაბადი, 8 თებერვალი. აქ გრძელდება ამერიკა-პაკისტანის მოლაპარაკება პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე. ადგილობრივი ბრალის მასალებით თუ მივსდევლებთ, ამ მოლაპარაკებს მონაწილეობენ საკითხს ამერიკა-პაკისტანის 1959 წლის შეთანხმების გადასინჯვის შესახებ იმ მიზნით, რომ გაფართოდეს მისი მოქმედების სფერო და აზიის სამხედრო ხელშეკრულებას აშკარად ანტიინდური მიმართულება მიანიჭოს.

მაგალითად, „პაკისტან ტაიმსი“ წერს, რომ „1959 წლის შეთანხმების მიმართულება“ მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრალისი არ არის“. „პაკისტანი, — აღნიშნავს გაზეთი, — ფიქრობრივად აგრესიას აწყდება სამხრეთიდან“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკა-პაკისტანის ახალი ხელშეკრულების მოქმედება ინდოეთზეც უნდა გავრცელდეს.

მღელვარება საპატიმროში

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. გრძელდება მღელვარება ამერიკის ქალაქ სანტა-ფეს (ნიუ-მექსიკოს შტატი) მახლობელად მდებარე საპატიმროში, სადაც ამერიკის ხელისუფლებმა სისხლში ჩაახჩვიტა ტუსაღების აჯანყება, რომლებმაც მოითხოვეს შეეწყვიტათ მედიცინალების მხრივ ადამიანად ადგება და თვითნებობა. ეს იყო პატიმრობა ერთ-ერთი უდიდესი გამოსვლა ამერიკის სასაპატიმროების ისტორიაში. ტუსაღთა მოთხოვნას — პატივი სცეს მათ უფლებებს და ადამიანურ ღირსებას — ხელისუფალნი ძალის ახალი გამოყენებით და რეპრესიებით უპასუხებენ.

გვალვა მალაიზიაში

კუალა-ლუმპური, 8 თებერვალი. ვითარება მალაიზიის კოდაპის შტატში, რომელიც ბალიოდ მოცავს, ყველაზე დაძაბულია. 135 ათასი ფერმერის მეურნეობაზე, ბალიოს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. მოისპო ბრინჯის მოსავალი. დაშრა სასმელი წყლის წყაროები. ჭალის იხოვება პირუტყვი. შტატის ხელისუფალნი ახორციელებენ სპეციალური უბედურებისაგან დაზღვევლებულთათვის დახმარების გაწევის ღონისძიებებს.

დედამიწის მოსახლეობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ **მოხსენებაში ნათქვამია, რომ დედამიწის მოსახლეობამ 1979 წლის ივნის-ივლისისათვის 4 მილიარდ 836 მილიონს მიაღწია, წინა წელთან შედარებით იგი 78 მილიონით გაიზარდა.**

ამერიკა-ირანის ურთიერთობა

თეირანი, 8 თებერვალი. აქ გაიმართა ისლამის რევოლუციური საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ირანელი ხალხის წინააღმდეგ ყოფილი შაჰის მიერ ჩადენილი დანაშაულობათა გამოძიების საერთაშორისო კომისიის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. წინადადება ამგვარი კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიც შვიდივე ირანისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელები, წამოაყენეს გიერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ამა წლის იანვარში ირანში ვიზიტის დროს. კომისიის შექმნის იდეა მოიწონეს ისლამის რევოლუციონერმა საბჭომ და აიათოლა ხომეინიმ.

ისლამის რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებით დღეს გაათავისუფლეს ირანის ეროვნული ორიენტაციის მინისტრი ნასერ მინაჩი. იგი დაუპატიმრეს „ისლამური რევოლუციის გუშაგებმა“ ისე, რომ ამის სანქციია არ მიუციათ ირანის ოფიციალურ ხელისუფლებს. დაპატიმრების მიზეზი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებიც, როგორც სტუდენტებმა განაცხადეს, ადასტურებენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებთან მინაჩის კონტაქტებისა და ირანში ამერიკელ ტერორისტთა ჯგუფების ფარულ ოპერაციებში ჩართულობის ფაქტებს. ამ ფაქტებზე ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდა, ბანკებიდან ფულის ამოღება, ბენზინის ნაკლებობა, ელექტრონული ინფორმაციის ბლოკირება, ტელეფონის ხაზების ჭიანურობ

სპეციალისტი, ნოვატორი, მოქალაქე

ახალგაზრდა სპეციალისტის სულიერად მდიდარ, ჰარმონიულად განვითარებულ, პატრიოტისა და სახალხო საქმისადმი ერთგულ პიროვნებად, საქმიანობის საუკეთესო გზებით პროფესიონალად მომზადებისა და აღზრდის პრობლემებია უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის ყურადღების ცენტრში, რომელიც მოსკოვში გაიმართება მუშაობას. ამ მოსოფლიოებთან დაკავშირებით უმაღლესი სკოლის წინაშე დასახული პრობლემათა ფართო წრის განიხილავენენ თათბირის მონაწილეები 7 თებერვალს სალექციო სხდომებზე.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის განვითარების დონეს ტრადიციულად უნივერსიტეტების წარმატებული საქმიანობა განსაზღვრავს. ეს მუშავდება თეორიული პრობლემები და სწავლების ახალი მეთოდები. ქვეყანაში მოქმედებს 67 უნივერსიტეტი, რომლებშიც 600 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. შემცირდა გამოცდილების განალიზებისას, თათბირზე გამოსულები საუბრობდნენ იმ ეფექტიანი გზების ძიებაზე, რომლებიც ხელს უწყობს უნივერსიტეტების, როგორც წამყვანი სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრების ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა მიიღეს რეკომენდაციები, რომელთა მიზანია განათლების თეორიული საფუძვლების გაღრმავება, სასწავლო პროცესის სრულყოფა.

სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ ეკონომიკურ განათლებას. დისციპლინის დროს თათბირის მონაწილეებმა, ეკონომ. აღრიცხვა შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ კულტურისა და ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახული ამოცანები განისაზღვრება მოწინავეებული სოციალიზმის პირობებში კულტურულ მშენებლობაში მათი დიდმნიშვნელოვანი როლით, ფართო მასების მხატვრულ აღზრდაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით. ამის შესახებ ილაპარაკეს უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა.

(საკდესი).

● ●

გიკამგობთ ჩვენს თანამემამულეებზე

□

ვლადიმერ ფულაიას ტაჯიკური ლიმონი

ვლადიმერ ფულაიას დიდი დამსახურებაა, რომ ლიმონის ნარმოების მხრივ ტაჯიკეთს ჩვენს ქვეყანაში პირველი ადგილი უკავია. მას სამართლიანად ეძახიან ძვირფასი სუბტროპიული კულტურის გაშენების ერთ-ერთ პიონერს ამ შეაზიარ რესპუბლიკაში.

...მართლაც და, სად უნდა გაშენებინათ ციტრუსები, თუ არა სუბტროპიულ ვახშის ველზე. ამ აზრით ჩავიდა 30-იანი წლების დამდეგს ტაჯიკეთში ახალგაზრდა აგრონომი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. მაგრამ, ლიმონის პირველივე ბაღი, რომელიც თვალს ახარებდა საშემოდგომო რგვის პერიოდში, აცივებისთანავე ვაივ ფაილუპა.

ფულაიამ უკან არ დაიხია. მან თანამშრომლების ჯგუფთან ერთად დაიწყო კლიმატის, ნიადაგისა და ბიოლოგიური კვლევა. ახალგაზრდა აგრონომმა შექმნა ვახშის სუბტროპიული კულტურების საცდელი სადგური. მრავალი წლის ეძსერიმენტების შედეგად გაჩნდა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. საწარმოო ცდებმა დაადასტურა მეცნიერთა ვარაუდის სამართლიანობა.

ვლადიმერ ფულაიას სიმამაცე მისი აქტიური მონაწილეობით შექმნილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა „სუბტროპიკების“, რომელიც ტაჯიკეთში მეციტრუსეობის დიდი ბაზა გახდა. ახლა რესპუბლიკაში ყოველწლიურად 12 მილიონამდე ლიმონს კრეფენ. ვ. ფულაიას აზრით, ბევრი თხრილში ჩეების რამდენიმე რიგად რგვა ზრდის მოსავლიანობას.

ქართველი სპეციალისტის ინიციატივით „სუბტროპიკების“ საბჭოთა მეურნეობაში შეწდება გიგანტური ანგარი თერმორეგულაციის ავტომატური სისტემით: წლის ცივ პერიოდში ლიმონის ბაღი ოფსკის ქვეშ იქნება, რომელიც დათბობისთანავე გადაიხსნება. (საქინფორმ).

● ●

სსრ კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

მოსკოვი — გ. მ. მარკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია.

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურების გაცნობისა და მათი განხილვის შემდეგ კომიტეტი შარხრავს ნაშრომებს 1980 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის.

ჩემი მილიცია მე მიცავს

ზაურ ნამგალაძე. — უჩა ჯაფარიძის ნახატი.

უბნის თვალი და ყური

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს მილიციის უბნის ინსპექტორთა ორდღიანი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. მისი მონაწილენი განიხილავენ „შართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოების გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისა და გააქტიურების საკითხებს.

ეს პატარა წერილი-ჩანახატი თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ერთ-ერთ მოწინავე უბნის ინსპექტორზე ზ. ნამგალაძეზე „კომუნისტის“ სპეციალური განყოფილებისთვის — „წესი, რიგი და ჩვენ“ იყო განკუთვნილი, მაგრამ რაკი დღეს თბილისში რესპუბლიკური თათბირ-სემინარი იხსნება, გადავწყვიტეთ სპეციალური განყოფილების მომზადებას არ დავლოდებოდით და იგი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაგვებეჭდა.

მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზაურ ნამგალაძე ინტერესით კითხულობდა ვ. იანიდის დახასიათებას, რომელიც ის�is იყო მიღო. თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექცია იტყობინებოდა, რომ მძღოლი ვ. იანიდი ჩინებულად ართმევს თავს სამუშაოს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და გარდამავალი დროშაც დაიმსახურა, აქტიურად მონაწილეობს საწარმოს კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობაში, მისი ავტომანქანა ყოველთვის მოვლილი და ტექნიკურად გამართულია...

არადა ახსოვს უბნის ინსპექტორს, როგორი იყო ვ. იანიდი ორი წლის წინათ. უსაქმური ახალგაზრდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მართლწესრიგის დარღვევისათვის თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას დიდ ხანს ჰყავდა აღრიცხვაზე აყვანილი. ერთხელ განსასჯელის სკამზეც აღმოჩნდა ავტომანქანის გატაცებისათვის. სასჯელის მოხდის შემდეგ. სამუშაოდ მის მიღებაზე ყველგან თავს იკავებდნენ.

უბნის ინსპექტორმა ზ. ნამგალაძემ „არგად შეისწავლა სასჯელმოხდილის პიროვნება, შეძლებისდაგვარად მის სულშიც ჩაიხედა და ვ. იანიდის სამუშაოდ მოწყობის თაობაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექციას მიმართა. დაწერილებით გააცნო საწარმოს ხელმძღვანელობას ჭაბუკის ცხოვრების პირობები, ოჯახური მდგომარეობა და სთხოვა მთელ კოლექტივს გულთან მიეტანა გზასაცდენილი ყმაწვილის მომავალი ბედი, მხარში ამოდგომოდა მას. თავის მხრივ უბნის ინსპექტორი ყურადღებას არ აკლებდა, ხშირად აკითხავდა ვ. იანიდის სამუშაოზე თუ ბინაზე, ესაუბრებოდა, არიგებდა. და შედეგმაც არ დააყოვნა. გუშინდელი ძნელადაღსაზრდელი დღეს საწარმოს საამაყო მუშაკია, იგი თვითონ გახდა აღმზრდელი და დამრიგებელი, შეფობას უწევს რამდენიმე ძნელადაღსაზრდელს, იბრძვის საწარმოს სახელისა და ღირსებისათვის.

ასეთი მაგალითები ზაურ ნამგალაძის ბიოგრაფიაში ერთეული როდია.

ათი წელიწადია, რაც ზ. ნამგალაძე უბნის ინსპექტორად მუშაობს თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, და ამ ხნის მანძილზე მილიციის მუშაკის რთული, სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო. თავდაპირველად რიგითი მილიციელი იყო, შემდეგ მილიციის სკოლა დაამთავრა და საზოგადოებრივი წესრიგის ერთ-ერთი რთული უბანი ჩაბარეს, ძნელი იყო პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები, მარცხიც ჰქონია, მაგრამ საკუთარი ძალის იწმენი მუდამ აჭარბებდა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზაურ ნამგალაძე დაჯილდოებულია [illegible] ორდენით, [illegible] ორდენით [illegible] ... ამას წინათ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამსახურის უბნის ინსპექტორებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ადგილი მოიპოვა.

ზ. ნამგალაძე ჩვეული ენთუზიაზმით ასრულებს უბნის ინსპექტორის პასუხსაგებ მოვალეობას, მთელი ენერგიით, მონდომებით შრომობს და ამ შრომის ფასდაუდებელი საზღაური პატიოსანი ცხოვრებისაკენ შემობრუნებული ათობით ადამიანის მადლობა და სიყვარულია.

ო. გოგაძე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი.

განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებანი!

ქადრებთან მუშაობის საკითხები ყველაზე მთავარი და ყველაზე დიდი უბანია ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობაში. ეს ერთხელ კიდევ ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს კომპარტიის მეჩვიდმეტე პლენუმის გადაწყვეტილებებში, პლენუმისა, რომელმაც საკადრო პოლიტიკის ნარმატებით განხორციელების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები შეიმუშავა, ყოველდღიურად გაზეთ „კომუნისტის“ ფოსტას მოაქვს წერილები და კორესპონდენციები, რომელთა ავტორები საქმიანად ეხმაურებიან პლენუმის გადაწყვეტილებებს, მსჯელობენ, გამოთქვამენ საყურადღებო მოსაზრებებსა და წინადადებებს საკადრო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

რა თვისებები უნდა ახასიათებდეთ ჩვენს კადრებს, რაზეა დამოკიდებული მათი ავტორიტეტი და რა ამოცანებს აყენებს ეპოქა ახალი ტიპის ხელმძღვანელის წინაშე? — სწორედ ამის თაობაზე მს მსჯელობს სტატიაში მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი რევაზ მიშველაძე.

ავტორიტეტის საგზავი

პარტიული ცხოვრება

სტუდენტობისას გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში პრაქტიკას გავდიოდი. ერთ საკმაოდ დიდ ქარხანაში გამგზავნეს, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ანგარიში უნდა დამეწერა. თავიის დროზე გამოვცხადდი და დირექტორს ვეახელ. ქარხნის დირექტორი ახლად დანიშნული, ოცდაათიოდე წლის კაცი იყო. კომკავშირულ სამუშაოზე თავი გამოეჩინა და როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, დირექტორად დაეწინაურებინათ. შეკატყვი, იყმა რედაქციის გადაწყვეტილება, ცოტა საყვედურიც მითხრა, ადრე რომ გაგეფრთხილებინეთ, კარგ კრებას მოვამზადებდიო. ჩვენ სწორედ რომ ჩვეულებრივი კრება გვაინტერესებს-მეთქი, დავამშვიდე. კრება რომ დაიწყო და თავმჯდომარედ დირექტორი დაასახელეს, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, მაგრამ თავისი საქმისა თვით უკეთ ეცოდინება-მეთქი და კუთხეში მიმჯდარმა უბის წიგნაკი მოვიმარჯვე.

კრება, მართლაც რომ, „ჩვეულებრივად“ მიმდინარეობდა. წინასწარ გაფრთხილებული ადგილკომის თავმჯდომარე და საამქროს გამგეები ლაპარაკობდნენ იმ დიდ შრომითს ენთუზიაზმზე, რომლითაც საწარმოში მუშაობდნენ ძველი დირექტორის წასვლისა და ახლის მოსვლის შემდეგ. ლაპარაკობდნენ ახლის დიდ ორგანიზატორულ უნარსა და სანიმუშო პირად თვისებებზე. ბოლოს, რასაკვირველია, გეგმის შესრულების პროცენტებსაც ჩაურთავდნენ და ტაშის გრიალში ტოვებდნენ ტრიბუნას. შემაკრთო იმ კრების საზეიმო, ლოზუნგიანმა ელფერმა. კიდევ უფრო იმან დამაღონა, რომ ახალგაზრდა დირექტორი თვამჯდომარის სკამზე იჯდა და მის მიმართ აღვლენილ ქების ნიაღვარს ღიმილითა და თავის კანტიერით ხვდებოდა.

ამ გარემოებისათვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია. პატივმოყვარეობით გაბერილი სხვაც ბევრი შემხვედრია ამ ქვეყანაზე. საქმე გააკეთოს და ჯანდაბას, განდიდების მანია შეიძლება თავიისი გამოუცდელობით სჭირს და დროთა განმავლობაში გაფუვნის-მეთქი. ფიქრი სხვაზე გადავიტანე, ვიცოდი, რომ გაზეთს უბრალო მუშური საუბარი აინტერესებდა და გამომსვლელთა სიტყვებში ჩემთვის საჭირო ჰანგებს ვეძებდი, მაგრამ თავმჯდომარემ ისევ თავისთან დამაბრუნა. მუშათა კრებაა, ხომ იცით... დარბაზში სამასამდე კაცი მაინც იჯდა. ძნელია სამარისებურ სიჩუმეს მიაღწიო ამ დარბაზში, მით უმეტეს, რომ მოკამათენი მთავარისა და არსებითის გარდა ყველაფერზე ლაპარაკობენ. დირექტორი მომნოსავით გასცქეროდა დარბაზს. მუშები მაინც თავისას აკეთებდნენ. ტაშს არ უკრავდნენ, ვინც ტაშის ღირსი არ იყო, ამხნევებდნენ, ვინც გამხნევებას საჭიროებდა და აქილიკებდნენ, ვისაც ვერ შეეგონა, რომ მლიქნელთა მოყვარული დირექტორის გარდა ამ დარბაზში სამასამდე მუშა იჯდა საქმისათვის მოსული და საქმე მოცდენილი.

კრება დასასრულს უახლოვდებოდა, დირექტორი რომ ერთბაშად წამოტაა და დაიძახა:

— მახათაძე, დატოვეთ კრება!

მოკამათემ სიტყვა შეწყვიტა, დარბაზი გაისუსა.

— მახათაძე, დატოვეთ კრება! — ზარივით ხელმეორედ გაისმა მიკროფონში დირექტორის ხმა.

მიბრუნებული თავიების წაიღ ადგილად ვიბოვე „დამნაშავე“. იგი შუა რიგში კედელთან იჯდა და წამოდგომას არ აპირებდა.

— მახათაძე, დატოვეთ კრება! — მესამეჯერ გაისმა დარბაზში.

— რატომ? — წამოდგა მაღალი, მხარბეჭიანი მახათაძე.

— წესრიგის დარღვევისათვის! — აუხსნა დირექტორმა.

— მე მშვიდნიერად ვისმენდი ყველაფერს და ახლა ნამეტანს ნუ იზამთ, ამხანაგო დირექტორო, არსად გამსვლელი არ ვარ მე, — მშვიდად თქვა მახათაძემ, ცოტა გამოაჯავრა კიდეც დირექტორს ხმაში და ვი-თომც აქ არაფერიაო, თავის ადგილზე დაეშვა.

— მახათაძე, არ ემორჩილებით კრებას?! — გაწწრაფულის ხმით იყვირა დირექტორმა.

— შენ კრება არა ხარ და, კიდევ გეუბნები, ნამეტანს ნუ იზამ, ამხანაგო დირექტორო, — ფეხზე არ ამდგარა, ადგილიდან ესროლა მახათაძემ.

— მახათაძე, გელოდებით, — დირექტორის ხმაში მუდარაც ჩაერია.

ვხედავდი, მას ცოტა ხელიც აუკანკალდა. მახათაძე კი მშვიდად იჯდა და კრების პრეზიდიუმს გულგრილად ათვალიერებდა.

— მახათაძე, გელოდებით, — დირექტორის ხმაში მუდარაც ჩაერია.

ვხედავდი, მას ცოტა ხელიც აუკანკალდა. მახათაძე კი მშვიდად იჯდა და კრების პრეზიდიუმს გულგრილად ათვალიერებდა.

— მახათაძე, გელოდებით, — დირექტორი უკვე ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა და ეს სრულიად ბუნებრივიც იყო.

— გადი ბიჭო, ცოდოა დირექტორია, რაც უნდა იყოს. — შეაწია ქიღაცამ ჩემს მეზობლად მახათაძეს.

სწორედ ამ სიტყვამ გაჭრა.

მახათაძე წამოდგა. დირექტორს შეხედა. გაიცინა და ნელა, ბეჭების რხევით გავიდა დარბაზიდან.

სვავიც კი ძვალს კისერს დაუშვებენს და ისე ჩაყლაპავენო, ფიქრობ ბრძენ ქართველ კაცს: სწორედ ეს ანდაზა მოუხდებოდა ყველაზე მეტად დირექტორსა და მახათაძეს შორის იმ დღის გამართულ უსისტემო ბრძოლას, რომელშიც უხმალოფხუტოდ და თავისი ძალისა და მდგომარეობის გაუთვალისწინებლად შესულმა თავმჯდომარემ თავისი დირექტორული ავტორიტეტი სასწორზე შეადგა.

„იყავ წყნარი და ცნობილი“— ასე დაამძიმებდა როსტევან მეფემ თავისი პირმშო, რომელსაც სამეფო სკიპტრა ჩაბარა. რა დღეში იყო, რას განიცდიდა თვით ის პიროვნება, ქვეყნის ბედ-იღბალი რომ უნდა ემართა? „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“. როგორ სჯირდება გენიალური რუსთველს ამ სტრიქონის შეხსენება ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომელსაც ნაწილშენის დღიდანვე შეაცოცდება ბეჭებზე პატივმოყვარეობის ჭიჭა, რათა ღრმად დაარწმუნოს, შენ სხვა ღირსების კაცი ხარ, სწორედ რომ დირექტორად ხარ დაბადებულიო.

ზზრად ასე ხდება: ახალი ხელმძღვანელი თავისი ღირსების „სკამმა გამოცვალა“ — გაიგონებთ ჩვენში. რამდენი ნაცნობი სამუდამოდ მიკარგულა „ვოლგის“ შავ ფარდებს მიღმა. რამდენი „თანამდებობის კაცი“ დადის ახლაც გაფუყული, მგლის კისრით, ხელს მოწყალებასავით რომ ჩამოგართმევს და გვეცემულივით გაგშორდება, რაიმე არ მთხოვოსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი ცოლშვილსაც კი მეგიდურად, ყალბი ქუდითთა და ლოყების ბერვით ელაპარაკება იმის შემდეგ, რაც თანამდებობაზე დანიშნეს. მოხდა საიკავო ამბავი, იმ ყმაწვილის პროვინციული და ეგოისტური ბუნება ერთბაშად გაშიშვლდა ჩვენ წინაშე. მოხდა ის, რის გამოც იქნებ თვით სხვას დასცინდა — „სკამმა კაცი გამოცვალა. მას მოეჩვენა, რომ ფიფლება აღარა აქვს წინანდებურად გულგახსნილი და შუბლგახსნილი იყოს, წინანდებურად იაროს მეგობარ-ნათესავთა შეკრებებზე, უფრო მეტიც, წინანდებურად იხუმროს და ამხიარულოს. ასეთ ვაი-ხელმძღვანელს მიუძღვნა მურმან ლებანიძემ თავისი მსუსხავი პამფლეტური ლექსი:

კაცი გაფუყული დადის,
კაცი — ღრუბელივით დადის,
სპასალარის მიხვრა-მოხვრით,
მკაცრი გამოხედვით ყადის.
ანუ არის ბრძენი ვინმე,
ანუ ქატოდ არ ღირს მჭადის,
ამას ვწუხ და ამას ვტირ მე,
ჩვენი მოტყუება სწადის...

სკამმა დიახაც უნდა შეეცვალოს კაცი, მაგრამ არა ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არამედ პირიქით. თანამდებობის მიღების შემდეგ იგი უფრო უბრალო და გულისხმიერი უნდა გახდეს. აბრეშუმის ჭიასავით კი არ უნდა ჩაიკეტოს, არამედ რაც შეიძლება უფრო ხშირად ეტრიალოს ხალხში, გაიგოს მიზეზი მათი სიხარულისა თუ მწუხარების, იყოს ზედმიწევნით თავმდაბალი და, როცა სხვები ხაზს გაუსვამენ მის მაღალ თანამდებობას, მავანი კაცის მლიქნელობა ხუმრობაში გაატაროს და ეფფარვით აგრძნობინოს სხვებს, რომ სასაცილოა ლაპარაკი მის ყოველგვარ ზეკაცურ თვისებებზე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანაში ადამიანთა ხასიათი მკვეთრად იცვლება. ჩვენი ცხოვრების წესი დღეს სხვაგვარია, ვიდრე ოციანი წლების ახალგაზრდობისა იყო. ატომურმა ეპოქამ, კიბერნეტიკისა და ავტომატიზაციის ხანამ, ზოგიერთ ღირებულებათა გადაფასებამ, თავისი კვალი დააჩნია ჩვენს ფსიქიკას. მართვის პრინციპებს, ხელმძღვანელის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს დღეს გაფაციცებით იკვლევენ მეცნიერნი. დიახ, დრომ დააყენა ღიღი წესრიგში ახლებური ხელმძღვანელის საკითხი. ადმინისტრირების უხეში ფორმები, მაგიდაზე თითის კაკუნის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა. მასების ხელმძღვანელობა დღეს მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნების მეთოდითა და შეგნების პოზიციიდან უნდა ხდებოდეს. ხელმძღვანელი თვითონ უნდა იძლეოდეს მაგალითს იმისას, რასაც სხვებისგან მოითხოვს. თუ ხელმძღვანელის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარია — ასეთ უფროსს, რა ნომენკლატურული ჩინითაც უნდა მოეკლინოს იგი ან თუ იმ უწყებას, ხალხი არ გაჰყვება.

ირგვლივ მიმოვიხედოთ და ვთქვათ, რამდენია ჩვენში ჯერ კიდევ ხელმძღვანელობის მოძველებულ, მოყოჩეჩებულ ფორმათა ერთგული, ჯერ კიდევ რამდენს აფარია სახეზე ყვირილისა და მოქარის ნიღაბი. რამდენ წონასწორობა დაკარგულ უფროსს შეესწრებივართ, თავის კაბინეტში წყვილა-ერთულივით რომ დაბიჯებს წინ და უკან. მათრახივით გადაუჭირეს ხოლმე ზურგზე თავის ხელქვეითებს ჩვენი პარტიული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული სიტყვას „ამხანაგო“. და ხელქვეითებმაც იციან, რაკი ჯერ ოფიციალურ „ამხანაგზე“ მიდგა, ეტყობა, საქმე ცუდად არის. არადა სიტყვა „ამხანაგო“ სწორედ მაშინ უნდა გაისმას მის ბაგეთაგან, როცა ურთიერთგაგება მიღწეულია და ხელმძღვანელსა და რიგით მუშაკს შორის ჰარმონია და პატივისცემა სუფევს.

სამწუხაროდ, ხელმძღვანელობის კაბინეტური სისტემა კიდევ დიდხანს გაჰყვება ჩვენი ცხოვრების წესს. როდესაც ტექნიკის განვითარება საშუალებას მოგვცემს ტელეკამერების და რადიოფიცერების საშუალებით გვერდით ვედგეთ მშრომელებს ყველაზე დაშორებულ უბნებშიც, კაბინეტებთან მიღების საათები და გრძელი რიგები სამუდამოდ მოისპობა. მაგრამ სანამ კაბინეტური მართვა ჯერ კიდევ არსებობს, მას თანამედროვე ფორმები და მეთოდები უნდა გამოვიძებნოთ.

თითქოს და ელემენტარულია მიღების ხელოვნება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სკოდავს მოქალაქესთან პირადი კონტაქტის დამყარების ამ საპასუხისმგებლო საათებში. რამდენჯერ გვიგია ძვნია შეურაცხყოფილად თავი, როცა ხელისუფლების წარმომადგენლის გრძელ კაბინეტში შესვლისას ყურადღებიანი მასპინძლის ნაცვლად ულოგულო, თავგაბეზრებული, მოსაწყენი კაცი დაგეგზავნიდრია. მის სახეზე ერთ ნერვს არ აატოკავს შენი გასვლა, წამადაუწუმ ამთქნარებს და კარებს გაჰყურებს, სანაბეჭოდ გისმენს, ერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრდეს მიღების საათები და რბილი კარების მიღმა გაუჩინარდეს. შთა ნიშნანიძემ ამას წინათ საკმაოდ ღონიერად გადაუჭირა პოეტური შოლტი კაბინეტის უგულგრილო კაცებს: **მეც შემხვედრია (არა ტყეებში ან შარაგზაზე) ქვეყნის ამკლები— გრძელ მაგიდებთან, რბილ სავარძლებში ჰალსტუხიანი ავაზაკები. ის მაგიდები სარეცლებს ჰგვანან და კისრულობენ ცოდვას იმავეს, ოღონდ მახვილის გარეშე, თანაც ურჩებს ჭრიან და დამყოლთ ჭიმავენ...**

როდესაც ხელმძღვანელ მუშაკთან მთხოვნელი შედის, დამბვენდრის წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ მის საქციელზე ბევრად არის დამოკიდებული მოსულის სამომავლო წონასწორობა და მისი დამოკიდებულება არსებული წყობილებისადმი, მისი რწმენაც კი. ამიტომაც კაბინეტში თხოვნით თუ საჩივრით შემოსული მოქალაქისადმი ადგებული დამოკიდებულება დანაშაულია. განა ასე ძნელია მოსულს ქარებშიკი შეეგებო, ყურადღებით მოუსმინო, საქმე ხვალისთვის კი არ გადაუდო, თუ შესაძლებელია, ან ყურმილს დაწვდე და დაიალო ვისაც ჯერ არს. მერე ღიმილით გაუწოდო სტუმარს ხელი და კარებამდე გამოიაცილო? რომ იკოდეთ, რაოდენ წამახალისებელი, მასტიმულირებელი მნიშვნელობა აქვს ასეთ მიღებას. როგორ მაღლდება ხელმძღვანელი მოსულის თვალში. რა გეომეტრიული ნახტომებით იზრდება მისი ავტორიტეტი. ხშირად გიგონრებთ ამგვარი ხელმძღვანელის კაბინეტიდან გამოსული კაცის ნათქვამს: „აუშენა ღმერთმა, ისე ტკბილად მიმიღო, კიდევ რომ ვერაფერს მივაღწიო, მაინც მადლობელი ვიქნებიო“.

ხელმძღვანელის მუშაობის ფორმებს მეორეხარისხოვანი პუნქტები არ გააჩნია. ამ ყველაფერი მთავარია და ყურადსაღები. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ მისი პირით საბჭოთა ხელისუფლება ლაპარაკობს. ამიტომაც თავს არ უნდა მისცეს უფლება თქვა და არ გააკეთო, დაპირდე და არ შეასრულო. საკმარისია ერთხელ შეგატყონ, რომ შენ, თუმცა, ტაქტად მიღება შეგიძლია, მაგრამ საქმის კაცი არა ხარ, რომ შენს დაპირებებს სიყალბის სუნი ასდის და კაბინეტის კარებამდეც არ მოგაცილებ, მაშინვე ზურგს შეგაქცევენ და შენს ნათქვამს, მართალსაც კი, აღარავინ დაიჯერებს.

გაიხსენეთ, როგორ აკრიტიკებდა ლენინი „ინტელიგენტურ ლაიალის“ და უსაგნო, გრძელ თათბირ-მოხსენებებს. როგორ დაჯერა მოწონების ხელი მხარზე მაიაკოვსკის, როცა ამ უკანასკნელმა ცნობილი „სხდომას გადაყოლილნი“ დაწერა. გავიდა ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი და ჩვენი ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელს დღემდე ვერ შეეგონა, რომ თათბირომანია საქმეს ვნებს, აქოთა, ხელმძღვანელი ვარ, მაინც მომისმენენო, მოკალათდება ტრიბუნაზე და, რომ იტყვიან, საათნახევრიან ქადაგებას გამოაცხობს. მოჰყვება მთისას და ბარისას, მოეფება ყველაფერს და როცა ამგვარი „ლამაზი გამოსვლით“ გაბრწყინებული შინ ბრუნდები, გახსენება გიჭირს: მაინც რა თქვა საქმისათვის გამოსადეგი? კონკრეტულად რაზე ილაპარაკა?

კომპეტენტურობა — აი რა უნდა იყოს ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება. დღეს, როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის არაჩვეულებრივი დიფერენციაციის ვითარებაში დღითი დღე ძნელი ხდება ერთდროულად წარმოების მრავალ სფეროში გარკვევა, „უნივერსალური“ ხელმძღვანელი მოდიდან სწრაფად გადის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავანან „დირექტორად დამბადებული“ კადრები. ოღონდ დირექტორად და ხელმძღვანელად დანიშნე და სულერთია, რისი გაძღოლა დაევალებათ. დირექტორი, რომელიც დაწესებულებაში მისაღის შემდეგ იწყებს მისდამი რწმენებული (ანაცვლებული ენით რომ ვთქვათ) უწყების ანაბანის შესწავლას, მოგეხსენებათ, რა ხერხს დააყრის მინდობილ საქმეს. თავისი უსაგნო ფაციფუცით, უმიზეზო ჭირვეულობით, ჰაერში გამოკიდებული „სიახლეებით“ იგი ნერვიას უშლის ხელქვეითებს და, როცა ერთ მშვენიერ დღეს გაიკვლევა, რომ ხელმძღვანელად დაბადებულ მაკაცმა მარტო ენთუზიაზმით საქმეს ვერ უშველა და დაწესებულება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა, ყველაფერს თავისი საუფროსო მრეკვლის უნიათობას გადააბრალებს და დირექტორის ახალ სკამს ითხოვს. და როგორ გგონიათ? სამწუხაროდ, ზოგიერთი ახერხებს კიდეც ასა მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი უბანი ჩაიბაროს საუფროსოდ, და საბოლოო ჯამში, გასაოცარ-ბლად. მცდარად გაგებული ნომენკლატურისადმი ბრმა თაყვანისცემაა სწორედ იმის მიზეზი, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას საშუალებას ვაძლევთ დირექტორის ერთი ადგილიდან მეორეზე მანამ ინაცვლოს, სანამ საბოლოოდ არ დავწმუნდებით, რომ იგი ყველა პასუხსაგებ პოსტიდან სირცხვილნაჭამი გვიბრუნდება.

„მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთაო“, წერს სადა და მართლაც, რა არის იმ კაცზე საბრალო, რომელიც თავის სკამზე არ ზის და ვერ კი შეიგენია, რომ სხვის ადგილს იკავებს. რა სახელს შეგძენს ისეთი დირექტორობა, როცა შენზე ხუმრობაგაშვებით იტყვიან, დირექტორია, მაგრამ ჩვენი საქმის ინიბინეზი არ გაიგებაო.

„ახალი ტიპის ხელმძღვანელი“ — უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს. ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ სწორედ რომ ახალი ტიპის ხელმძღვანელის საჭიროება დააყენა დღის წესრიგში, ხელმძღვანელისა, რომლის პიროვნებაში ფეხბედნიერად შეერწყმის ერთიერთს განსწავლულობა და დემოკრატიულობა, თავმდაბლობა და მაღალი ზნეობრიობა, კომპეტენტურობა და პრინციპულობა. რაკი სიტყვამ მოიტანა, პრინციპულობაზეც შეგჩერდეთ. ხელმძღვანელის აუცილებელი თვისებაა — პრინციპულობა ზოგჯერ ვიწრო ობიექტურ განმბრძანებას იძენს სწორედ იმგვარი უფროსისაგან, რომელსაც მცდარად წარმოუდგენია, რომ პრინციპულობა რაღაც არამდგრადი, შედარებითი ფენომენი გახლავთ. პრინციპულობას იგი ავლენს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე: უფრო ნათლად რომ ვთქვათ, პრინციპულია მხოლოდ თავის ხელქვეითთა მიმართ, მაგრამ როგორც კი საქმეში ზემდგომი პირი ჩაერევა, ჩვენი „შეუვალი“ ხელმძღვანელის პრინციპულობა საპნის ბუშტივით ქრება. ყველა თქვენთაგანს ეყოლება თითო-ოროლა ისეთი ნაცნობი, რომელმაც დიდის მეცადინეობით პრინციპულის სახელი დაიგდო, მაგრამ მერე გაირკვა, თურმე ობიექტური ვაკის სახელი ნიღბად სჭირვებია თავის ბნელ საქმეთა გასაკეთებლად. ამგვარ მოჩვენებითს პრინციპულობას, სიმკაცრეს, რომელიც ზოგჯერ პედანტობისა და სადიზმის იერს ატარებს, წვრილმანობას და ასოკრიკიტობას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ პარტიულ პრინციპულობასთან.

როგორც ცხოვრებამ დაადასტურა, ახალი ტიპის ხელმძღვანელის, პირობითად რომ ვთქვათ, საკუთარი თავის ყოველგვარი ღირსებით დაჯილ



თეთრი ოლიმპიადების სტატისტიკა

ზამთრის სახეობის სპორტი (ფიგურული ციგურაობა) პირველად 1908 წლის ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობის პროგრამაში შეიტანეს. 1911 წლს შვეიციამ წამოაყენა წინადადება სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიურ ასპარეზობათა პარალელურად გამართულიყო ზამთრის ოლიმპიური შეჯიბრებაც, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღეს. 1920 წლის ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში კვლავ შეიტანეს ზამთრის ორი სახეობის სპორტი (ფიგურული ციგურაობა და ჰოკეი). 1925 წელს კი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ზამთრის ოლიმპიადების გამართვის თაობაზე (1924 წლს შამონში „მერვე ოლიმპიადასთან დაკავშირებით გამართულმა საერთაშორისო სპორტულმა კონფერენციამ“ I ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის სახელწოდება მიიღო და ამის მერე დასაბამი მიეცა ზამთრის ასპარეზობათა გამართვის ტრადიციას).

ქვემოთ გთავაზობთ აქამდე გამართულ ზამთრის ოლიმპიადათა ნუსხას:

I ზამთრის ოლიმპიადა. 1924 წელი. 25 იანვარი — 4 თებერვალი. შამონი (საფრანგეთი). 16 ქვეყნის 293 მონაწილე, მათ შორის 13 ქალი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ნორვეგიის ნაკრებმა — 122,5 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ფინეთი — 59,5.

II ოლიმპიადა. 1928 წელს. 11-19 თებერვალი. სანკტ-მორიცი (შვეიცარია), 25 ქვეყნის 491 მონაწილე, მათ შორის 27 ქალი. არაოფიციალური გუნდური ჩათვლა: 1. ნორვეგია — 93 ქულა, 2. აშშ — 45,3.

III ოლიმპიადა. 1932 წელი. 4-15 თებერვალი. ლეიკ-პლესიდი (აშშ). 17 ქვეყნის 307 მონაწილე, მათ შორის 30 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. აშშ — 85 ქულა. 2. ნორვეგია — 68.

IV ოლიმპიადა. 1936 წელი. 6-16 თებერვალი. გარმიშ-პარტენ-კირხენი (გერმანია). 28 ქვეყნის 756 მონაწილე, მათ შორის 76 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. ნორვეგია — 100 ქულა, 2. გერმანია — 46.

V ოლიმპიადა. 1948 წელი. 30 იანვარი — 8 თებერვალი. სანკტ-მორიცი (შვეიცარია), 28 ქვეყნიდან 713 მონაწილე, მათ შორის 77 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. შვეიცია — 70 ქულა, 2. შვეიცარია — 68.

VI ოლიმპიადა. 1952 წელი. 14-25 თებერვალი. ოსლო (ნორვეგია). 30 ქვეყნის 732 მონაწილე, მათ შორის 108 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. ნორვეგია — 104,5 ქულა, 2. აშშ — 77,5.

VII ოლიმპიადა. 1956 წელი. 26 იანვარი — 5 თებერვალი. კორტინა დ'ამპეცო (იტალია), 32 ქვეყნის 924 მონაწილე, მათ შორის 146 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი (ჩვენმა ქვეყანამ პირველად იასპარეზა ზამთრის ოლიმპიადაში და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა) — 103 ქულა, 2. ავსტრია — 66,5.

53 საბჭოთა სპორტსმენს შორის ერთი საქართველოს წარმომადგენელი იყო: კობა წაქაძე, რომელმაც ტრამპლინიდან ხტომაში 51 მონაწილეს შორის 30-ე ადგილი დაიკავა. იგი გადახტა 80,5 და 82,5 მეტრზე. დაგროვა 185 ქულა.

VIII ოლიმპიადა. 1960 წელი. 18-28 თებერვალი. სკვო-ვალი (აშშ). 30 ქვეყნის 665 მონაწილე, მათ შორის 144 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 146 ქულა, 2. აშშ — 62.

62 საბჭოთა სპორტსმენს შორის ერთი საქართველოს წარმომადგენელი იყო! კვლავ კობა წაქაძე. 45 მონაწილეს შორის მან ტრამპლინიდან ხტომაში მე-9 ადგილი დაიკავა. ნახტომები: 89 და 79,5 მ. დააგროვა 211,1 ქულა.

IX ოლიმპიადა. 1964 წელი. 29 იანვარი-9 თებერვალი. ინსბრუკი (ავსტრია), 36 ქვეყნის 1111 მონაწილე, მათ შორის 197 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 162 ქულა, 2. ნორვეგია — 80,5.

69 საბჭოთა სპორტსმენს შორის ერთი საქართველოს წარმომადგენელი იყო: ამჯერადაც კობა წაქაძე. 52 მონაწილეს შორის მან 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 27-ე ადგილი დაიკავა. ნახტომები: 87 და 80,5 მ; 195,6 ქულა.

X ოლიმპიადა. 1968 წელი. 6-18 თებერვალი. გრენობლი (საფრანგეთი). 37 ქვეყნის 1158 მონაწილე, მათ შორის 202 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. ნორვეგია — 103 ქულა, 2. სსრ კავშირი — 92. საბჭოთა კავშირიდან ამ ოლიმპიადაში 74 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. **ამჯერად საქართველოს ოლიმპიელი არ ჰყოლია.**

XI ოლიმპიადა. 1972 წელი. 3-13 თებერვალი. საპორო (იაპონია). 35 ქვეყნის 1012 მონაწილე, მათ შორის 204 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 120 ქულა. 2. გდრ — 83.

76 საბჭოთა სპორტსმენს შორის ერთი საქართველოს სპორტსმენი იყო: ისევ და ისევ კობა წაქაძე. 56 მონაწილეს შორის მან 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მე-9 ადგილი დაიკავა (77,5 და 77,5 მ; 219,9 ქულა). ხოლო 90-მეტრიანი ტრამპლინიდან 52 მონაწილეს შორის 35-ე ადგილი (93 და 90 მ; 165,2 ქულა).

XII ოლიმპიადა. 1976 წელი. 4-15 თებერვალი. ინსბრუკი (ავსტრია), 37 ქვეყნის 1064 მონაწილე, მათ შორის 215 ქალი. არაოფიციალური ჩათვლა: 1. სსრ კავშირი — 192 ქულა, 2. გდრ — 135.

საბჭოთა ნაკრების ღირსება დაიცვა 79 სპორტსმენმა. **ამჯერად საქართველოს ოლიმპიელი არ ყოფილა.**

როგორც ხედავთ, საბჭოთა სპორტსმენებმა ექვს ზამთრის ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. საქართველოდან თეთრ ოლიმპიადებში მხოლოდ ერთმა, ტრამპლინიდან მხტომელმა, „ბაკურიანელ მფრინავ ტორპედოდ“ წოდებულმა კობა წაქაძემ მიიღო მონაწილეობა. მან VII, VIII, IX და XI ოლიმპიადებში ისასპარეზა. სამწუხაროდ, ჩვენს სახელოვან სპორტსმენს ოლიმპიადებზე მაინც-დამაინც არ უმართლებდა. მართალია, მას საპრიზო ადგილები არ მოუპოვებია, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საქართველოდან მხოლოდ მან შეძლო თეთრი ოლიმპიადებისაკენ გზის გაკაფვა, თავისთავად მნიშვნელოვანი და აღრეთვე დამაფიქრებელია, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თეთრ ოლიმპიადებში მონაწილეობის პატივი მოკავშირე რესპუბლიკებიდან სულ რამდენიმეს ხვდა წილად და მათ შორის 4-ჯერ საქართველოს. ეს თავისთავად გარკვეული წარმატებაა. ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ სტატისტიკურ ცნობებს: **VII ოლიმპიადა.** მოსკოვიდან—35, ლენინგრადიდან — 8, რსფსრ-დან — 7, საქართველოდან, ყაზახეთიდან და ესტონეთიდან — თითო მონაწილე; **VIII ოლიმპიადა.** მოსკოვი — 34, რსფსრ — 16, ლენინგრადი — 10, საქართველო და ყაზახეთი — თითო; **IX ოლიმპიადა.** მოსკოვი — 33, რსფსრ — 20, ლენინგრადი — 13, ბელორუსია, საქართველო და ესტონეთი — თითო; **X ოლიმპიადა.** მოსკოვი — 40, რსფსრ — 20, ლენინგრადი — 9, ესტონეთი, ბელორუსია, ყაზახეთი და ლატვია — თითო; **XI ოლიმპიადა.** მოსკოვი — 38, რსფსრ — 20, ლენინგრადი — 16, საქართველო და ყაზახეთი — თითო; **XII ოლიმპიადა.** მოსკოვი — 34, რსფსრ — 22, ლენინგრადი — 14, ლატვია — 5, უკრაინა და ყაზახეთი — 2-2 მონაწილე. როგორც ხედავთ, თეთრ ოლიმპიადებზე ერთობ უმნიშვნელოა თვით ისეთი დიდი რესპუბლიკების წარმომადგენლობა, როგორიცაა უკრაინა და ბელორუსია ან ბალტიისპირეთის ერთ-ერთი. და მაინც, განა ცოდო არ არის, ბაკურიანის პატრიოტებს ისეთი სპორტსმენები არ გეყოდეს, რომ რესპუბლიკის სახელი დაიცვან თეთრ ოლიმპიადებზე. ეტყობა, დროა, საქართველოში ზამთრის სახეობათა სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს. ამ მხრივ არცთუ უმნიშვნელო ნაბიჯებია გადადგმული. ბაკურიანში აშენდა ახალი და კეთილმოწყო ძველი ბაზები. მხოლოდ ეს კი, საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა დაოსტატების საქმეს ვერ იქნა და ვერ მოვაბით თავი და ეს იმ დროს, როცა ჩვენი რესპუბლიკის ამ დიდებულ მხარეში სსრ კავშირის მრავალი კუთხიდან ჩამოსული სპორტსმენები ამაღლებენ ოსტატობას, წარმატებებსაც აღწევენ და აქედანვე იკვალავენ გზას უფრო დიდი საერთაშორისო სარბიელისაკენ. ასე იყო ახლაც, სსრ კავშირის ოლიმპიელთა დიდი ნაწილი ხომ სწორედ ბაკურიანში იმზადებოდა. ამ მთა ყველა პირობა ჰქონოდა შექმნილი იმისათვის, რომ ლეიკ-პლესიდის საპასუხისმგებლო სტარტებისათვის კარგად მომზადებულიყვნენ (თავადაც რომ გვყოლოდა მაღალი კლასის მოთხილამურენი, განა ვინმე მოაკლებდა ყურადღებას?). ბევრი მათგანი „ბიმგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრ ოლიმპიადაში ძალიან მოსასინჯად, გამარჯვებათა მოსაპოვებლად. გამგზავრების წინ საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების წევრებმა, მწვრთნელებმა და ხელმძღვანელებმა საქართველოს პატრიოტული, პროდაჯირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გულითადი მასპინძლობისათვის მადლობის ხიტყვებით მიმართეს. მათ აღნიშნეს, რომ თავს არ დაზოგავენ ლეიკ-პლესიდში წარმატებების მოსაპოვებლად.

და აი, დადგა ზამთრის XIII ოლიმპიადის ჟამიც, რომელიც 13 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნება ლეიკ-პლესიდში (აშშ). ცხადია, ტელე, რადიო გადაცემებისა თუ ჟურნალების მეშვეობით ზამთრის სახეობათა სპორტის მილიონობით მოყვარულნი საინტერესო ბრძოლების მოწმენი გავხდებით.

ჯ. ენუქიძე.

სურათზე: თეთრი ოლიმპიადების ოთხგზის მონაწილე კობა წაქაძე.

„ეროვნული“ ... ეროვნული

ემზადებიან

რაც უფრო ახლოვდება მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობა, მით უფრო და უფრო ინტენსიური ხდება მისი სტარტებისათვის მზადება. ახლა მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, თუ ვინ როგორ ემზადება ოლიმპიადისათვის და ამ დიდ სპორტულ ფორუმში მონაწილეობის რა შანსები აქვს. აი ამის დამადასტურებელი ცნობებიც:

არგენტინის დედაქალაქის რიო-დე-ჟანეიროს მკვიდრებმა — იახტსმენმა მარკუშ სუარიშმა და მესაჭემ ედუარდუ პინეედუმ პორტუ-ალეგრეში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატში („470“-ანების კლასი) პირველობა მოიპოვეს. ამ წარმატებამ მათ ოლიმპიადის საგზურები შესძინა.

ოლიმპიადაში მონაწილეობის საგზურების მოპოვებისათვის თავს არ ზოგავენ ცურვაში ბელგიის რეკორდსმენები დები კარინ და პასკალ ვერმაუვენები. ახლახანს 20 წლის კარინმა საკმაოდ მაღალი შედეგები მოიპოვა 100 მეტრზე გულაღმა (1 წუთი და 4,41 წამი), 800 მეტრზე თავისუფალი სტილით (8.57,31) და 200 მეტრზე კომბინირებულ (2. 23,94) ცურვაში. არც კარინის უმცროს დას პასკალს მოუპოვებია ურიგო შედეგები. მან თავისუფალი სტილით ცურვაში (200 მეტრზე — 2.04,67; 400 მეტრზე — 4.17,07 და 800 მეტრზე — 8.40,10) ისახელა თავი.

ბეჯინად ვარჯიშობენ მოსკოვის ოლიმპიადისათვის ბულგარელი მეჭიდაჯეენი. ამ ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ცენო ცენოვმა განაცხადა: — კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენ განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონზე ა. ტომოვზე (უმძიმესი წონა) და მსოფლიოს ჩემპიონ ი. შოპოვოზე (74 კგ). თავისუფალ ჭიდაობაში თავის გამოჩენა ძალუძთ ევროპის ჩემპიონს მ. დუკოვს (62 კგ), ს. ივანოვს (57 კგ), ი. იანკოვს (68 კგ), ა. ნანევს (74 კგ), ი. გინოვს (90 კგ) და ს. ჩერვენკოვს (100 კგ).

თბილისის ტატამზე

მკითხველმა უკვე იცის, რომ თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე მიმდინარეობს ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების მეორე დღესაც მიდლების ორი კომპლექტი გათამაშდა.

ამ დღეს ასპარეზობდნენ 78 და 86 კილოგრამამდე წონის ათლეტები. აღნიშნულ წონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

78 კგ. 1. ა. ვოლოსოვი (სსრ კავშირი), 2. მ. ალბორიშვილი (საქართველო), 3. ხ. კაბასავა (იაპონია) და ა. არუთინიანი (სსრ კავშირი).

86 კგ. 1. ა. იაცკევიჩი (სსრ კავშირი), 2. ტ. ცენდ-აიუში (მონღოლეთი), 3. მ. ეია (იაპონია) და ვ. გუბანოვი (სსრ კავშირი).

მატჩი იტალიაში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა იტალიის ქალაქ არეზოში ითამაშა ადგილობრივ „არეზოსთან“ და გამარჯვება ანგარიშით 4:1 (3:0). საბჭოთა სპორტსმენთაგან ბურთები გაიტანეს გავრილოვმა, შავლომ, ანდრეევმა და სიდოროვმა. ჩვენმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაკვი (პილკუი), როდინი (მახოვიკოვი), ჩიკვაძე, ხიდიატულინი (ანდრიუშენკო), რომანცევი, შავლო (ფეოდორენკო), ბესონოვი, გავრილოვი, ჩერნეკოვი (ოგანესიანი), ანდრეევი, გუსი (სიდოროვი).

საუკეთესო მეგობრობა

ასტრახანის ქრემლის მიძინების ტაძარში დაიდგა მეორეული ... ...